SAFE FROM FEAR
SAFE FROM VIOLENCE

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

- ადევნება -

შესავალი

• ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ - შემოკლებით, სტამბოლის კონვენცია - მოიცავს გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმას, რომელიც განისაზღვრება, როგორც „ქალის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა იმის გამო, რომ ქალია, ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალზე" (მე-3 მუხლის „დ" პუნქტი).

• ქალს, რომლის მიმართაც ხორციელდება ადევნება, არ აქვს ნორმალური ცხოვრების შანსი. შიში და შფოთვა გავლენას ახდენს მის ყოველდღიურ ყოფაზე. შიშსა და შფოთვასთან გამკლავება და, ამავე დროს, ნორმალური ცხოვრება, მუშაობა, მეგობართან ურთიერთობა, ბავშვის მოვლა და სხვა, ძალზე რთულია. მსხვერპლისთვის ასევე რთულია, ბოლო მოუღოს ადევნებას და ამ მიზნით მიმართოს მართლმსაჯულებას. ევროპის საბჭოს უმეტეს წევრ ქვეყნებში ადევნება არ რეგულირდება სისხლის ან სამოქალაქო კანონმდებლობით. გარდა ამისა, ადევნების აღმნიშვნელი სიტყვა ბევრ ენაზე არც კი არსებობს, რაც იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად ნაკლებად ესმით - ან ესმოდათ - ეს ცნება.

• სტამბოლის კონვენცია აღიარებს და პირველად გვთავაზობს ღონისძიებათა ერთობლიობას ადევნების წინააღმდეგ მსხვერპლის მხარდასაჭერად. ვიმედოვნებთ, რომ კონვენციის ძალაში შესვლა და მისი ეროვნულ დონეზე განხორციელება დიდ შვებას მოუტანს ადევნების მსხვერპლთ.

ადევნება, როგორც კონკრეტული სისხლისსამართლებრივი დანაშაული

• **უპირველეს ყოვლისა,** კონვენცია ნათლად განმარტავს, რომ ადევნება არის ქალის მიმართ ძალადობის ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მონაცემები ამასთან მიმართებით არაერთგვაროვანია, კარგად არის ცნობილი, რომ ადევნების მსხვერპლი ძირითადად ქალია, დამნაშავე კი - მამაკაცი. ხშირად ქალებზე ადევნება ხდება მას შემდეგ, რაც ისინი ურთიერთობას ასრულებენ მამაკაცთან. ამ ტიპის ძალადობა ცალსახად გენდერზეა დაფუძნებული, რადგან უკავშირდება დომინანტობისა და კონტროლის სურვილს. არცთუ იშვიათად ქალებზე ადევნება ხდება იმ მამაკაცების მხრიდანაც, რომლებთანაც მათ არასდროს ჰქონიათ ურთიერთობა, მაგრამ, როგორც წესი, მოძალადე არ არის უცხო პირი, მას ქალი საიდანღაც იცნობს.

• **მეორე:** ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ადევნებასთან გამკლავების მექანიზმებს. ვინაიდან არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე, კონვენცია ყველა სახელმწიფოსგან მოითხოვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრას ადევნებისათვის. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა, რომელსაც რატიფიცირებული აქვს კონვენცია, ვალდებულია, მოახდინოს ადევნების აქტის კრიმინალიზაცია. იგი განისაზღვრება, როგორც „მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს“. მოლაპარაკებებისას ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ დაიტოვა უფლება, ადევნებისთვის ითვალისწინებდეს არასისხლისსამართლებრივ სანქციებს, სისხლისსამართლებრივის ნაცვლად, თუმცა მას აღიარებდეს დანაშაულად. სწორედ ამიტომ, შესაძლებელია დათქმა ამ დებულებასთან დაკავშირებით (78-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

o კონვენციის ავტორებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ ყველა დებულება ჩამოეყალიბებინათ გენდერის თვალსაზრისით ნეიტრალურ ენაზე, რის გამოც ადევნების განსაზღვრება მოიცავს ორივე სქესის აღმნიშვნელ კუთვნილებით ნაცვალსახელს. ეს ნიშნავს, რომ კონვენციის ყველა დებულება, არსებითად, ქალებსაც შეეხება და მამაკაცებსაც, რაც თანხვდება უმეტესი წევრი ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას: სისხლისსამართლებრივი დანაშაულები, ჩვეულებრივ, შემუშავებულია გენდერის თვალსაზრისით ნეიტრალურ ენაზე და შეეხება როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს.

o ადევნების აქტის დანაშაულად აღიარების იდეა საშუალებას აძლევს სისხლის სამართლის სასამართლოებს, შეისწავლონ ეს საკითხი. მისი ცალკეული ელემენტები, როგორიცაა, მაგალითად, ვინმესთვის არასასურველი შეტყობინების გაგზავნა, დაუპატიჟებლად სახლში ან სამსახურში გამოცხადება, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან რეკვა ან სხვა მსგავსი ქმედება, რასაც სჩადის ასეთი დამნაშავე, ყოველთვის არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ ქმედებას. აქ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია დამნაშავის განზრახვა, ასევე შიში, რომელსაც ის იწვევს. ისეთი აღიარებული სისხლისსამართლებრივი დანაშაულები, როგორიცაა იძულება ან პირად ცხოვრებასა თუ საკუთრების უფლებაში ჩარევა, სრულად არ მოიცავს ადევნების დანაშაულის შემადგენელ ელემენტებს. ამ ხარვეზის შესავსებად, ადევნების კრიმინალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

o კონკრეტული სისხლისსამართლებრივი დანაშაული პანაცეა არ გახლავთ. ახალი დანაშაულის დადგენა და მის მიმართ წარმატებული დევნა მეტწილად დამოკიდებულია განხორციელების მექანიზმებზე. უნდა ჩატარდეს ტრენინგი მოსამართლეებისა და სასჯელაღსრულების თანამშრომლებისათვის. მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რას ნიშნავს ადევნების აქტი. ამიტომ კონვენცია მოიცავს დებულებებს, რომლებიც ხელს უწყობს გამოძიებასა და სამართალწარმოებას. მიზანი არის მსხვერპლის უფლებების გათვალისწინება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ყველა სტადიაზე, მისი უსაფრთხოების, უფრო ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად (49-ე მუხლი).

შემაკავებელი და დამცავი ორდერები

• **მესამე**: კონვენცია გვთავაზობს შემაკავებელ და დამცავ ორდერებს ადევნების მსხვერპლთათვის. უმეტეს ქვეყნებში ტექნიკურად შესაძლებელია სამოქალაქო აკრძალვისთვის მიმართვა სხვა პირის ქმედების შესაჩერებლად, მაგრამ ამ ინსტრუმენტს იშვიათად იყენებენ ადევნებაში დამნაშავე პირის მიმართ. კონვენცია სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ მისი მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის, მათ შორის, ადევნების მსხვერპლისთვის, ხელმისაწვდომი გახდეს შემაკავებელი და დამცავი ორდერები. სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოებამ შესაძლოა ვერ

შეაჩეროს დამნაშავე. ამდენად, მნიშვნელოვანია მსხვერპლის უსაფრთხოება. კონვენცია ადგენს, რომ სასამართლომ უნდა შეძლოს დამნაშავის შეჩერება და მსხვერპლისგან მოშორება. ამგვარი ორდერის დარღვევა უნდა ისჯებოდეს სისხლისსამართლებრივი ან სხვა სანქციებით.

მსხვერპლის მხარდამჭერი მომსახურება

• დაბოლოს, მოკლედ შევეხებით მხარდაჭერის მომსახურებას. კონვენცია ავალდებულებს ქვეყნებს სპეციალური მხარდამჭერი მომსახურების უზრუნველყოფას კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ადევნების მსხვერპლთათვის. უნდა ჩამოყალიბდეს საკონსულტაციო ცენტრები, გაუპატიურების, იძულებითი ქორწინების ან იძულების სხვა ფორმის მსხვერპლთა ცენტრების მსგავსად. თუ რა სახით განხორციელდება ეს, სახელმწიფოების გადასაწყვეტია, მაგრამ უნდა არსებობდეს ცხელი ხაზი, სადაც მსხვერპლი შეძლებს დარეკვას და გადაამისამართებენ შესაბამისი დახმარების მისაღებად (იხ: მუხლები 22, 24).

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ :
www.coe.int/conventionviolence
ან დაუკავშირდით: conventionviolence@coe.int